

## ზოგადი ტექნიკური დავალება

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით

ზოგადი ტექნიკური დავალება  
სარჩევი

|   |    |
|---|----|
| 1. შესავალი .....                           | 2  |
| 2. საავტომობილო გზის მშენებლობა.....        | 3  |
| 3. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია .....     | 5  |
| 4. ნაპირდაცვა.....                          | 9  |
| 5. სახიდე გადასასვლელების მშენებლობა .....  | 11 |
| 6. სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია..... | 13 |

## შესყიდვის ობიექტის დასახელება

2020-2021 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ასევე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება 2020 წლების განმავლობაში.

### მომსახურების გაწევის ვადები

პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ კონკრეტულ ობიექტზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიწოდების ვადები, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში მომსახურების მიწოდების ცალკეული ეტაპები და ეტაპების შესრულების ვადები განისაზღვრება დეტალური ტექნიკური დავალებით, რომელსაც მიმწოდებელს გადასცემს მუნიციპალიტეტი.

იმ შემთხვევაში, თუ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ, თითოეულ ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე შემსყიდველის მიერ ამ მიზნებისთვის შერჩეული, შესაბამის სფეროებში აკრედიტებული პირის - შპს „ქრიზოლითი“-ის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) განისაზღვრება **არაუმეტეს 60 კალენდარული დღით**. (აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება მუნიციპალიტეტის მიერ ოფიციალური შეტყობინების (შესაბამისი დეტალური ტექნიკური დავალებით) შემსრულებლის მიერ მიღების დადასტურებიდან შემდგომი კალენდარული დღით).

იმ შემთხვევაში, თუ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ, თითოეულ ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება ნაკლებია 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარზე, სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, მუნიციპალიტეტისთვის წარდგენის ვადები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) განისაზღვრება **არაუმეტეს 30 კალენდარული დღით**. (აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება მუნიციპალიტეტის მიერ ოფიციალური შეტყობინების (შესაბამისი დეტალური ტექნიკური დავალებით) შემსრულებლის მიერ მიღების დადასტურებიდან შემდგომი კალენდარული დღით).

### საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა

- მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ეგზემპლარების რაოდენობა:
  - ა) საპროექტო დოკუმენტაცია \_ 3 ეგზემპლარი ბეჭდური (A-3 და A-4 ფორმატები); ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია \_ 3 ეგზემპლარი ბეჭდური (A-4 ფორმატი);
  - გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრონული ვერსია (PDF და Excel ფაილები) ვერსია \_ 1 CD/DWD დისკი;
  - დ) საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველ ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაო ელექტრონული ფაილები (MS Word, Excel, AutoCAD, ArchiCAD და სხვა).

### მომსახურების გაწევის პირობები

მიმწოდებელი ვალდებულია, დეტალური ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი საპროექტო ობიექტისათვის საჭირო დოკუმენტაციები შეადგინოს ზოგადი ტექნიკური დავალებით (სამშენებლო სამუშაოების კატეგორიის მიხედვით) გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

**I. საავტომობილო გზის მშენებლობა**

საავტომობილო გზების მშენებლობის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზების, მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების (კედელი, მილი, ხიდი, გზაგამტარი და სხვა) ჩათვლით, მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენას.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;

1. მომსახურების ძირითადი სახეობები:

- საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია):
  - ა) განმარტებითი ბარათი;
  - ბ) ასაშენებელი გზის გეგმა, გრძივი და განივი პროფილები, გადაკვეთები, მიერთებები, სატრანსპორტო კვანძები, გზის სამოსის კონსტრუქციები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები (ნახაზები).
  - ბ) საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დასკვნები;
  - გ) ახალი გზის სამშენებლო სამუშაოების მოცულობების ცხრილები და სხვადასხვა სახის უწყისები;
  - დ) ახალი გზის შემადგენლობაში შემავალი ასაშენებელი სახიდე გადასასვლელების ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარე-გულაციო ნაგებობები და მისასვლელები) კონსტრუქციული ელემენტების და კვანძების ზოგადი და დეტალური ნახაზები.
  - ე) ახალი გზის სხვა ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალურ ნახაზები.
  - ვ) ახალი საავტომობილო გზისა და მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტები;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება.

2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:
- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
  - პროექტის კორექტირება;
  - სამშენებლო მონაკვეთის განთვსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
  - საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
  - საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);
  - წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

## II. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზების, მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების (კედელი, მილი, ხიდი, გზაგამტარი, სანიაღვრე არხები და სხვა) ჩათვლით, რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენას.

ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევადიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის #172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები.

### 1. მომსახურების ძირითადი სახეობები

- საველე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია):
  - ა) განმარტებითი ბარათი;
  - ბ) სარეაბილიტაციო გზის გეგმა, გრძივი და განივი პროფილები, გადაკვეთები, მიერთებები, სატრანსპორტო კვანძები, გზის სამოსის კონსტრუქციები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები (ნახაზები);
  - გ) საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დასკვნები;
  - დ) სარეაბილიტაციო გზის სამშენებლო სამუშაოების მოცულობების ცხრილები და სხვადასხვა სახის უწყისები;
  - ე) გზაზე არსებულ სხვა სარეაბილიტაციო ხელოვნური ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალურ ნახაზები;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება.

### 2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- პროექტის კორექტირება;
- გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;

- ხიდური გადასასვლელების ბურჯების საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
- სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედღების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);
- წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა);

### 3. რეაბილიტაცია ითვალისწინებს

რეაბილიტაცია ითვალისწინებს განივი და გრძივი პროფილების აღდგენას, ვირაჟების მოწყობას, მიწის ვაკისის სიგანის, ფერდობების და წყალგამტარი ნაგებობების გეომეტრიული პარამეტრების მიყვანას საპასპორტო (საპროექტო) მაჩვენებლამდე, გადატვირთული სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ერთ დონეში გახსნის სრულყოფას, წყალამრიდი ნაგებობების მთლიან აღდგენას ან ახლის მოწყობას, სამოსის კონსტრუქციის მოძრაობის ინტენსივობის შესაბამისად გაძლიერებას, ხელოვნური ნაგებობების (კალაპოტების და სარეგულაციო ნაგებობების ჩათვლით) კონსტრუქციული ელემენტების შესწორებას და აღდგენას, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სრულყოფილ აღდგენას ან მათი ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით გზის აღჭურვას, გზის კეთილმოწყობის ახალი მოთხოვნების მიხედვით სრულყოფას მათი თანამდევრი სამუშაოების შესრულებით, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენით. რეაბილიტაციის შედეგად მთლიანად უნდა აღდგეს გზის ტექნიკური მაჩვენებლები და გაიზარდოს გზის პრაქტიკული გამტარუნარიანობა. რეაბილიტაციის შედეგად უნდა გაუმჯობესდეს გზის ტექნიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები. ამისათვის:

#### 3.1 მიწის ვაკისზე ხორციელდება

- ა) მიწის ვაკისის და წყალამრიდი ნაგებობების სრულყოფილი აღდგენა, მიწის ვაკისის შევიწროვების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, ყრილების და ჭრილების ფერდობების დახრილობის და გამაგრების მთლიანი აღდგენა და სრულყოფა;
- ბ) გვერდულების მთლიანი სრულყოფილი აღდგენა, მოშანდაკება, დატკეპნა და საჭიროების შემთხვევაში გამაგრება;
- გ) მეწყერების, ზვავებისა და ჩამონაშალებისაგან გზის მთლიანი გაწმენდა და ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზების ლოკალიზაციისათვის ღონისძიებების განხორციელება;
- დ) მეწყერული, დაბურცული და სხვა არამდგრად მოკლე მონაკვეთებზე მიწის ვაკისის კონსტრუქციის გაძლიერება;
- ე) აღმართებზე, ქანობების სიდიდიდან და ტრანსპორტის ინტენსიობიდან გამომდინარე, სატვირთო მოძრაობისათვის დამატებითი ზოლის მოსაწყობად მიწის ვაკისის სათანადო გაგანიერება;

- ვ) სარეაბილიტაციო მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოებისა და მხედველობის არის გაუმჯობესების მიზნით, გრძივი ქანობისა და ჰორიზონტალური მრუდების შეცვლა, თუ მათი საერთო სიგრძე არ აღემატება მთლიანი მონაკვეთის სიგრძის 25 %-ს;
- ზ) სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის მიწის ვაკისის სათანადო გაგანიერება;
- თ) წყალამრიდი ნაგებობების მთლიანი შეკეთება, აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში სრულყოფა და ახლის მოწყობა;
- ი) მიწის ვაკისის ფერდობების და ნაპირსამაგრი სარეგულაციო ნაგებობების აღდგენა და სრულყოფა;
- კ) მიწის ვაკისის ფერდობების გამაგრება ზედაპირული წყლების ზემოქმედებისაგან.

### 3.2 გზის სამოსზე ხორციელდება

- ა) საფარის დაზიანებების (ტალღები, ნაბურცები, ბზარები და სხვა) ლიკვიდაცია და ახალი საფარის მოწყობა, განივი პროფილების მიკროდეფორმაციების შემასწორებელი ფენით გასწორება და მრუდეებზე ვირაჟების ნორმების შესაბამისად მოწყობა;
- ბ) გრძივი პროფილის სისწორის აღდგენა, ჯდენების შემთხვევაში მიკროდეფორმაციების ლიკვიდაცია;
- გ) გზის სამოსის კონსტრუქციის გაძლიერება მოძრაობის საანგარიშო ინტენსივობის მოთხოვნის მიხედვით;
- დ) დაზიანებულ და დეფორმირებულ მონაკვეთზე სამოსის მთლიანი შეცვლა ან ახალი უფრო სრულყოფილი სამოსის კონსტრუქციის მოწყობა;
- ე) საჭიროების შემთხვევაში, საგზაო სამოსის კონსტრუქციის შედგენისას მიმწოდებელმა უნდა განიხილოს და წარმოადგინოს სამოსის მოწყობის 2-3 ალტერნატივა და მოახდინოს მათი შედარება ტექნიკური და ეკონომიური თვალსაზრისით;
- ვ) საგზაო სამოსის კონსტრუქციის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იყოს საავტომობილო გზის ფუნქციონალური კლასიფიკაცია, მოძრაობის ინტენსივობა და მასში სატრანსპორტო საშუალებების შემადგენლობა, სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მოთხოვნები, რეგიონის კლიმატური პირობები, გრუნტების გეოლოგიური შემადგენლობა, ჰიდროგეოლოგიური პირობები და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები. ასევე შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყენება;
- ზ) საგზაო სამოსი, მისი საფარი და ცალკეული ფენების სისქეები უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო სატრანსპორტო მოძრაობას, კონსტრუქციის სიმტკიცეს, საიმედოობას, ხანგრძლივ გამძლეობასა და ყინვამდედგობას, როგორც ეს შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებითაა განსაზღვრული;
- თ) საფარის პროექტირებისას განხილულ უნდა იყოს როგორც ხისტი, ასევე არახისტი საფარის ტიპები, საექსპლუატაციო და კლიმატური პირობების, სამშენებლო მოედანის რელიეფის და მშენებლობის ორგანიზაციის გათვალისწინებით. საფარის სისქე მიიღება ნორმატიული დოკუმენტებით მოთხოვნილი ყველა პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა კონსტრუქციული გაანგარიშებების საფუძველზე, მაგრამ არანაკლებ ნორმებით მოთხოვნილი მინიმალური სისქისა;
- ი) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისათვის საფუძვლის შერჩევასა ერთ-ერთ ვარიანტად განხილულ უნდა იყოს თანამედროვე სტაბილიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, შესაბამისი კონსტრუქციული გაანგარიშების და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით მოთხოვნილი პირობების დაცვით, სამშენებლო ტერიტორიის რელიეფის და მშენებლობის ორგანიზაციის გათვალისწინებით;
- კ) საჭიროების შემთხვევაში გვერდულებზე სავალი ნაწილის გამაგრების და ტრანსპორტის გასაჩერებელი ზოლების მოწყობა;



- ლ) აღმართებზე ქანობის სიდიდიდან და ტრანსპორტის ინტენსივობიდან გამომდინარე სატვირთო მოძრაობისათვის დამატებითი ზოლის მოწყობა;
- მ) სატრანსპორტო კვანძებში მოძრაობის ორგანიზაციის ერთ დონეზე სრულყოფისათვის საჭირო ახალი სამოსის მოწყობა;
- ნ) ავტობუსების გაჩერებებზე, დასასვენებელ მოედნებზე და მათთან მისასვლელზე საჭიროების შემთხვევაში, ახალი საფარის მოწყობა.

### 3.3 ხელოვნურ და დამცავ ნაგებობებზე ხორციელდება

- ა) ნაგებობების დაზიანებული კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა, ხიდებზე ახალი სავალი ნაწილის ტროტუარების, ზღუდარებისა და მოაჯირების მოწყობა; საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობების ფარგლებში ხიდების გაბარიტების გაუმჯობესება;
- ბ) ბურჯების და სარეგულაციო ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გამაგრებების განხორციელება. საჭიროების შემთხვევაში ახალი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა;
- გ) არსებული საყრდენი კედლების აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში ახლის მშენებლობა;
- დ) ლითონის ხიდების სამალო ნაშენების ნაწილობრივ დაკარგული მზიდუნარიანობის აღდგენა, ჟანგისგან სათანადო გაწმენდა, ანტისეპტირება და სრულყოფილი გადაღება;
- ე) ნორმატივებით დასაშვებზე ნაკლები ხვრეტის არსებული წყალგამტარი მილების ახლით შეცვლა;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში ხიდების გამოცდა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით ხიდების, გზაგამტარების, გვირაბების, გალერეების და სხვა ხელოვნური და საინჟინრო ნაგებობების თანამედროვე დატვირთვების და გაბარიტების მიხედვით გადაკეთება ან ახლით შეცვლა.

შენიშვნა: სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით და ცალკეულ ობიექტებზე გაცემული შესაბამისი დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით. ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიექტის პროექტზე, ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.

### III. ნაპირდაცვა

ნაპირდაცვისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს სანაპირო ზონებში სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ახლად დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობების მოსაწყობად საჭირო საკვლევადიებო სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება.

ნაპირსამაგრი ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე ტოპო-გეოდეზიურ საკვლევადიებო სამუშაოებს, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესწავლას, მონაცემების კამერალურ დამუშავებას, პროექტირებას, მშენებლობის ორგანიზაციას და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას.

სანაპირო ზონის მდგომარეობის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული მორფოდინამიკური რეჟიმის სტაციონალური პირობების შენარჩუნების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული ნაპირსამაგრი ობიექტების საპროექტო მომსახურება შეასრულოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);
- პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

#### 1. მომსახურების ძირითადი სახეობები

- საველე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები;
- ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

#### 2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- პროექტის კორექტირება;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
- სამშენებლო მონაკვეთის განთავისუფლების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. N242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად.

#### 3. პროექტის შემადგენელი ნაწილები

3.1 სანაპირო ზონებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება ეყრდნობა ადგილობრივ კლიმატურ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და მრავალწლიანი დაკვირვებების პირობებს.

#### 3.2 საველე-საკვლევადიებო სამუშაოები:

3.2.1 ადგილმდებარეობის რეკონოსცირება და საჭიროების შემთხვევაში მიყენებული ზარალის დადგენა; სანაპირო ზონების დაზიანებული მონაკვეთის შემოხაზვა, რომელსაც სჭირდება გადაუდებელი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ჩატარება;



3.2.2 რეგიონის შესწავლა: გეოლოგიური, ჰიდროლოგიური მაჩვენებლების ანალიზი, საპროექტო მონაკვეთზე მდინარეთა, წყალსატევებისა და ზღვის რეჟიმის მოქმედების გამოკვლევა, რეგიონის მაცხოვრებლების მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შესწავლა;

3.2.3 ადგილმდებარეობის ტოპოგეოდეზიური გადაღება;

3.2.4 საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დადგენა;

3.2.5 საჭიროების შემთხვევაში მდინარის და მიწისქვეშა წყლების ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა;

3.2.6 მდინარეთა წყალსატევებისა და ზღვის მოკლე და გრძელვადიანი წყლის დონის მერყეობის დადგენა (მაქსიმუმი-მინიმუმი) და ა. შ.;

3.2.7 ადგილობრივი მასალების მარაგების დადგენა;

### 3.3 კონსტრუქციული ღონისძიებები:

3.3.1 სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი ღონისძიებები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- ა) დამცავი ყრილის მოწყობას გრუნტის მასალიგან საჭირო ქანობის დაცვით მშრალ ადგილებში ან წყალში ჩაყრით;
- ბ) შესაბამისი ზომის ქვის ნაყარი მოწყობას ფერდობზე;
- გ) ნაპირის ფერდობის გამაგრებას ბალახის დათესვით;
- დ) სანაპირო ფერდის მომანდაკებას ქვით საყრდენში რისბერმის მოწყობით;
- ე) ფერდობების დაცვას მონოლითური ბეტონით შესაბამისი კბილის მოწყობით;
- ვ) ფერდობების დაცვას ანაკრები რკინაბეტონის ფილებით შესაბამისი კბილის მოწყობით;
- ზ) ნაპირის გამაგრებას ბეტონის დეზებით;
- თ) ნაპირის გამაგრებას გაბიონებით;
- ი) ნაპირის დაცვას რკინაბეტონის ან ლითონის შპუნტებით;
- კ) საყრდენი კედლების აგებას ქვით, ბეტონით, რკინაბეტონით საპირკველში ხიმინჯების გამოყენებით ან ბუნებრივ ფუძეზე მოწყობით;
- ლ) სანაპირო ზონების გაწმენდას მონატანებისაგან;
- მ) ზღვის სანაპირო ზონების გამაგრებას საყრდენი – ტალღამრეკლი კედლითა და ბუნებით (ნატან შემაკავებელი ზღუდარებით);
- ნ) სანაპირო ზონების გამაგრებას წყალქვეშა და წყალზედა ტალღმტეხი საშუალებებით;
- ო) სანაპირო ზონების დაცვას ხელოვნური პლაჟების მოწყობით (სანაპირო ზოლში ნატანის შეტანით);
- პ) როგორც აუცილებელი ღონისძიება - ყველა საჭირო შემთხვევაში სანაპირო ზონებში წყლის ნაკადისა და ტალღური რეჟიმის რეგულირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შესრულება.

## VI. სახიდე გადასასვლელების მშენებლობა

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზებზე ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობას თვით ხიდის (გზაგამტარის, ვიადუკის, ესტაკადის და სხვა), მისასვლელი გზებისა და სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების (წყლის წინაღობის (მდინარე, ღელე, ტბა და სხვა) არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით.

საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები, კონკრეტულ ობიექტზე.

საველე საკვლევადიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული უნდა იქნას სახიდე გადასასვლელის რაიონის ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, გადასაკვეთი მდინარის (ხევის) ჰიდროგეოლოგიური რეჟიმისა და კალაპოტური პროცესების (მორფომეტრიული) მონაცემები, ასევე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების არსებობისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევადიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული „ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს ”საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები

### 1. მომსახურების ძირითადი სახეობები

- საველე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია):
  - ა) განმარტებითი ბარათი;
  - ბ) საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნები;
  - გ) სამშენებლო სამუშაოების მოცულობები და უწყისები;
  - დ) სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარეგულაციო ნაგებობები და მისასვლელი) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალური ნახაზები;
  - ე) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;

- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება.

შენიშვნა: პროექტი ასევე უნდა ითვალისწინებდეს დასრულებული ხიდის ექსპლოატაციაში გადაცემამდე სტატიკურ და დინამიურ დატვირთვაზე გამოცდას, რასაც ითვალისწინებს ტექნიკური რეგულაციები.

2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- პროექტის კორექტირება;
- სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);
- წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

## V. სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია

სახიდე გადასასვლელების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის რომლებიც არ შედის სარეაბილიტაციო გზების შემადგენლობაში და ექვემდებარება ინდივიდუალურ რეაბილიტაციას, საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

სახიდე გადასასვლელი მოიცავს თვით ხიდს, მისასვლელ გზებსა და სარეგულაციო და დამცავ ნაგებობებს. ხიდში იგულისხმება ხიდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტოგზის გატარებას მდინარეებზე, ხევებზე (ვიადუკი), ავტოგზებსა და რკ.გზებზე (გზაგამტარი), გრძელი ხიდები, გზის ასაწევად ტერიტორიაზე მის ქვეშ თავისუფალი სივრცის დატოვებით (ესტაკადა) და სხვა.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე-საკვლევადიებო (ტოპოგოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევადიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (რკინიგზა, გაზსადენი, წყალსადენი, ნავთობსადენი და სხვა).

### 1. მომსახურების ძირითადი სახეობები

- საველე საკვლევადიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია):
  - ა) განმარტებითი ბარათი;
  - ბ) საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნები;
  - გ) სამშენებლო სამუშაოების მოცულობები და უწყისები;
  - დ) სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარე-გულაციო ნაგებობები და მისასვლელები) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალური ნახაზები;
  - ე) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენა;

### 2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- პროექტის კორექტირება;
- ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;
- ხიდური გადასასვლელების ბურჯების საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;

- სამშენებლო მონაკვეთის განთავსების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად; საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);
- წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

### 3. რეაბილიტაციითვალისწინებს

- ხიდებზე დაზიანებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების აღდგენას, ან ახლით შეცვლას საანგარიშო დატვირტვების გატარების უზრუნველსაყოფად;
- ლითონის ხიდების სამალო ნაშენებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების ნაწილობრივ დაკარგული მზიდუნარიანობის აღდგენას, ან შეცვლას, ჟანგისგან სათანადო გაწმენდას, ანტიკორუზიულ და სრულყოფილ გადაღებვას;
- ხიდის ახალი სავალი ნაწილის (შემასწორებელი ფენა, ჰიდროიზოლაცია, დამცავი ფენა, საფარი), სადებორმაციო ნაკერების, ტროტუარების, ზღუდარების, მოაჯირების, წყალარინების სისტემების მოწყობას;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობების ფარგლებში, ხიდების გაბარიტების გაუმჯობესებას;
- ბურჯების და სარეგულაციო ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გამაგრებების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში ახალი სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების მოწყობას;
- ხიდის მისასვლელზე კონუსების აღდგენას, ხიდთან შეუღლებების უზრუნველყოფასა და მათ დაცვას წყლის ზემოქმედებისაგან. გზის საფარების აღდგენას, ან შეცვლას;
- სახიდე გადასასვლელის საგზაო ნიშნებისა და ფარების მთლიან აღდგენას, ან გზის მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით აღჭურვას. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონიშვნის აღდგენას, ან განახლებას;
- საჭიროების შემთხვევაში რეაბილიტირებული ხიდის გამოცდას (გამოცდის ღირებულების ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინება).

შენიშვნა: სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით და ცალკეულ ობიექტებზე გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით. ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიექტის პროექტზე, ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.